



ლ. ქართველიშვილი, ა. ამირანაშვილი,  
ლ. გიგრიშვილი, ლ. ქურდაშვილი



ბურთულა-რეკონსტრუქციული  
რესურსების შეფასება  
ხლიმბის ცვლილების ფონზე

ლ. ქართველიშვილი, ა. ამირანაშვილი,  
ლ. მეგრელიძე, ლ. ქურდაშვილი

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების  
შეფასება კლიმატის ცვლილების ფონზე

გამომცემლობა "მნიგნობარი"  
თბილისი - 2019

ნაშრომში განხილულია ტურისტული ინდუსტრიის განვითარების თანამედროვე პრობლემები. დეტალურად არის დამუშავებული ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასების მეთოდი კლიმატის ცვლილების დინამიკის გათვალისწინებით. განსაზღვრულია საქართველოს ორი განსხვავებული რეგიონის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების პოტენციალი და მისი განაწილების კანონზომიერებანი დროსა და სივრცეში.

ნაშრომში გამოყენებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ტურიზმის განვითარების სტრატეგიები გურიაში“ კვლევის შედეგები.

The work is devoted to modern problems of tourism industry. The method of evaluation of tourism-recreational resources is taken into consideration in detail in terms of climate change dynamics. The potential of tourism-recreational resources are estimated of two different regions of Georgia

The work uses the results of the project of the European Union “Tourism development prospects in Guria”

**რედაქტორები:** ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი  
**ლ. კოჭლამაზაშვილი**

გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი,  
**ნ. კეზევაძე**

**რევენზენტები:** გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი,  
**ნ. ნადარეიშვილი**

ფიზ.-მათ. აკადემიური დოქტორი  
**ვ. ჩიხლაძე**

შინაარსი

შესავალი

თავი 1 ტურიზმი და გარემოსდაცვითი პოლიტიკა

1.1. მსოფლიოს გლობალური ეკოლოგიური პრობლემები

1.2 საქართველოს გარემოსდაცვითი პოლიტიკა

თავი 2. ადამიანური კაპიტალი ტურისტული ინდუსტრიის განვითარების მნიშვნელოვანი რესურსი

თავი 3. კლიმატის გათვალისწინება ტურისტულ ინდუსტრიაში

3.1 ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების პოტენციალის შეფასებისას გამოყენებული სხვადასხვა ბიოკლიმატური პარამეტრების მიმოხილვა

3.2. ბათუმის კლიმატი და კლიმატის მიმდინარე და სამომავლო ცვლილების სცენარები

თავი 4. ტურიზმის კლიმატურ ინდექსში შემავალი მეტეოროლოგიური პარამეტრების დახასიათება და მათი ცვლილებების თავისებურებანი აჭარაში და კახეთში

თავი 5. აჭარის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების პოტენციალის განსაზღვრა კლიმატის გლობალური დათბობის ფონზე

5.1 ტურიზმის კლიმატური ინდექსი ბათუმში და მისი ცვლილება

5.2 ტურიზმის კლიმატური ინდექსი ქობულეთში და მისი ცვლილება

5.3 ტურიზმის კლიმატური ინდექსი ხულოში და მისი ცვლილება

5.4 ტურიზმის კლიმატური ინდექსი გოდერძის გადასასვლელზე და მისი ცვლილება

თავი 6 კახეთში ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების პოტენციალის შეფასება. საკვლევ რეგიონებში ტურიზმის განვითარების ტენდენციები ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის გათვალისწინებით.

დასკვნა

ლიტერატურა

## შესავალი

დღევანდელ პირობებში, როგორც ეკოლოგიური, ისე მატერიალური თვალსაზრისით აუცილებელია გათვალისწინებული იქნას მოცემული ადგილის კლიმატური პირობები. სრულყოფილი და საიმედო კლიმატური მონაცემები წარმოადგენს ეკონომიკის მთელი რიგი დარგების სწორი მენეჯმენტისა და განვითარების მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს.

კლიმატის შესწავლა და კვლევა დღეისათვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან გასული საუკუნის ბოლო წლებიდან დაწყებულმა კლიმატის გლობალურმა ცვლილებამ ადამიანებს უამრავი სიმწიფე და საფრთხე შეუქმნა. როგორც მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (მმო) მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, 1990 წლიდან დღემდე მთელი რიგი ბუნებრივი და სტიქიური უბედურებები უშუალოდ ამინდის პირობებთან და კლიმატთან არის დაკავშირებული.

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ კლიმატი არა მხოლოდ ბუნებრივ, არამედ ქვეყნის განვითარების ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორსაც წარმოადგენს. ამდენად ბუნებრივია ის დიდი ინტერესი, რომელსაც ადამიანი მისი შესწავლის მიმართ იჩენს.

გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ბუნებრივი ფაქტორების გარდა დიდ გავლენას ახდენს ადამიანის სამეურნეო საქმიანობა (ანთროპოგენური ფაქტორი), რაც მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებზე და ეკოსისტემებზე აისახება სხვადასხვა ფორმით. ანთროპოგენური ფაქტორები მოიცავს ადამიანის საქმიანობას, რომელიც თავისი ქმედებით ცვლის გარემოს. ზოგჯერ ადამიანის გავლენა ბუნებაზე პირდაპირია, ზოგჯერ კი – ირიბი.

მრავალი წლის დავის შემდეგ, უკანასკნელ წლებში მეცნიერები შეჯერდნენ ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე, რომ ადამიანი ყველაზე მეტად თავისი საქმიანობით ახდენს გავლენას გლობალურ საშუალო ტემპერატურის ზრდაზე. პრევენციული ღონისძიებები სწორედ არსებულ გარემოსთან შეგუებისა და მოცემული პროცესის შენელებისკენაა მიმართული.

ამ პროცესის შერბილების აუცილებელი პირობაა კლიმატის ცვლილებისადმი განსაკუთრებით მგრძობიარე სისტემების და ეკონომიკის სექტორების გამოვლენა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება, მათ შორის სახელმწიფოებრივ და ზოგჯერ საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე. ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად ბუნებრივი გარემო სწრაფად დეგრადირდება: იღვსა ბუნებრივი რესურსები, კატასტროფულად სწრაფად ბინძურდება ჰაერი, წყალი, გარდაიქმნება ნაყოფიერი მიწები, მცირდება ტყის ფართობები, გროვდება რადიოაქტიური და ორგანული ნარჩენები. ასეთმა მდგომარეობამ მკვეთრად შეცვალა ბუნებრივი გარემო და კლიმატი.

კლიმატის გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკის ისეთი დარგების სწორი დაპროექტებისა და მენეჯმენტისათვის, რომლებიც მგრძობიარე (მოწყვლადი) არიან კლიმატის ცვლილების მიმართ. სწორედ ერთ-ერთ ასეთ დარგს მიეკუთვნება ტურიზმი და საკურორტო მეურნეობის მართვა. ტურიზმი ხასიათდება დუალიზმით, იგი არის ორბუნოვანი და შეიცავს, როგორც გეოგრაფიულ, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტს.

ტურიზმი ერთ-ერთი სწრაფად მზარდი ეკონომიკის სექტორია. ტურისტული ბაზრის და მასთან დაკავშირებული ინდუსტრიის საწარმოების ფუნქციონირებას მკვეთრად გამოხატული სეზონური ხასიათი აქვს, რომელზედაც მოქმედებს სხვადასხვა ფაქტორები.

ტურისტული ბაზრის ფუნქციონირების პირველადი ფაქტორებია ბუნებრივ-კლიმატური, ხოლო მეორადი-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ფსიქოლოგიური, ტექნოლოგიური და სხვა.

საერთაშორისო კონფერენციაზე "ტურიზმი და კლიმატის ცვლილება", რომელიც პირველად ჩატარდა 2003 წელს ტუნისში მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (მმო) და მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (მტო)-ს ეგიდით აღინიშნა, რომ მმო-მ ჩაატარა მთელი რიგი ღონისძიებები ტურიზმის მიმართულების დასახმარებლად. იგი უზრუნველყოფდა მსოფლიო ტურისტულ ორგანიზაციაში შემავალ 187 წევრ ქვეყანას ადრეული გაფრთხილებებით ბუნებრივი კატასტროფების, მყინვარების უკან დახევის, წყლის რესურსების და კლიმატის ცვლილების შესახებ.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს მსოფლიო მეტეოროლოგიურ ორგანიზაციასთან და აგრეთვე სხვა შესაბამის სააგენტოებთან. კლიმატისა და ექსტრემალური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების პროგნოზების მნიშვნელობა, რასაც იძლევა ეროვნული მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური სამსახურები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღევანდელ პირობებში, ვინაიდან კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე თავი იჩინა რეგიონულმა კლიმატურმა ვარიაციებმა.

ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ტურიზმის ბიზნესში, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასებისას, როგორც ეკოლოგიური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით გარემოს და კლიმატის ზემოქმედების სრულფასოვანი შესწავლა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ამ მიმართულებით მიმდინარეობს კვლევები საქართველოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში. წინამდებარე ნაშრომში განხილულია, თუ რა გავლენას ახდენს



გარემო და კლიმატი და ასევე მისი ცვლილება ტურისტული ბიზნესის განვითარებაზე ჩვენს ქვეყანაში.

## 1. ტურიზმი და გარემოს დაცვითი პოლიტიკა

### 1.1. მსოფლიოს გლობალური ეკოლოგიური პრობლემები

ბუნებრივი გარემო სწრაფად დეგრადირდება ადამიანის ზემოქმედების შედეგად: ილევა ბუნებრივი რესურსები, კატასტროფულად სწრაფად ბინძურდება ჰაერი, წყალი, მცირდება ტყის ფართობები, გროვდება რადიაქტიური და ორგანული ნარჩენები. ამ ზემოქმედებამ განაპირობა გარემოს და კლიმატის მკვეთრი ცვლილება.

როგორც ცნობილია ბოლო მილიარდი წლის განმავლობაში დედამიწის კლიმატი იცვლებოდა მრავალჯერ დათბობისა და აცივების ეპოქების მონაცვლეობით, რაც განპირობებულია მთელი რიგი მიზეზებით (ვულკანების და მიწისძვრების ანომალური აქტიურობა, მზის მიმართ დედამიწის ბრუნვის ღერძის მნიშვნელოვანი გადახრა, კონტინენტების კონფიგურაციის ცვლილება და სხვა).

კლიმატის თანამედროვე ცვლილების შესწავლაში მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული. ამ საკითხს ეძღვნება სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა შრომები, რომელთაც განსაკუთრებული როლი მიუძღვის აღნიშნული პრობლემის კვლევაში. პირობითად ეს შრომები იყოფა ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფში ერთიანდება გამოკვლევები, რომლებიც ზოგადი ხასიათისაა და ეხება მთელ დედამიწას (უმეტესად ჩრ. ნახევარსფეროს) და მეორე ჯგუფის გამოკვლევები, სადაც შესწავლილია ცალკეული ქვეყნების კლიმატის თანამედროვე ცვლილებები.

კლიმატის თანამედროვე ცვლილება (დაწყებული მე-19-ე საუკუნის ბოლოდან), არა მხოლოდ ჰაერის, არამედ წყლის ტემპერატურის საგრძნობი მატებით აღინიშნა, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში. მთელი დედამიწა და მათ შორის ჩვენი ქვეყანაც მოიცვა

ამ პროცესმა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ტემპერატურის მნიშვნელოვანი მატება ძირითადად მაღალ განედებში დაიკვირვებოდა გასული საუკუნის 20-30-იან წლებში.

კლიმატის ამ ცვლილებას - ათბობას, ყოველთვის და ყველგან დადებითი შედეგები როდი მოჰყვა. როგორც რაიონებში მან სირთულეები შეიტანა სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში შეიმჩნეოდა ნალექების წლიური რაოდენობის კლება, რამაც გამოიწვია მდინარეების წყლიანობისა და ჭაობების ფართობების შემცირება. კასპიის ზღვის დონე 3,5მ-ით დაეცა. ბოლო ათწელიწადში მისი დონე კვლავ მატულობს ( 1). ათბობის პროცესმა სამხრეთ ნახევარსფეროშიც იჩინა თავი, სადაც ჰაერის ტემპერატურა 0.5 გრადუსით გაიზარდა. ათბობის მკვეთრი ტენდენცია აღინიშნა ანტარქტიკის რაიონში, კერძოდ სადგურ „ლითლ-ამერიკა“-ში, სადაც 1911-1957წწ. შორის ტემპერატურა 3 გრადუსით გაიზარდა. რაც შეეხება ატმოსფერულ ნალექებს, ისინი მე-19-ე საუკუნის მიწურულიდან გასული საუკუნის 20 - იან წლებამდე 12%-ით იზრდება, ხოლო 1930-1965 წწ. 18%-ით. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან კვლავ შეინიშნება ატმოსფერული ნალექების ზრდა და იგი გრძელდება 80-იან წლებამდე. მსოფლიო ოკეანის ზედაპირული წყლის საშუალო ტემპერატურა გამოთვლების თანახმად დაახლოებით 17.5 გრადუსს უდრის, რაც 2,5 გრადუს-ით აღემატება დედამიწის ჰაერის საშუალო ტემპერატურას.

შავი ზღვის, როგორც დონის, ასევე მისი ტემპერატურის საუკუნეობრივი ცვლილება, განსაკუთრებით საინტერესოა რადგან საქართველოს, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოს კლიმატზე დიდია მისი გავლენა. როგორც კვლევებმა უჩვენა (2) განსაკუთრებით კარგი კორელაციური კავშირია დადგენილი ზღვის დონის და ჰაერის ტემპერატურის საუკუნეობრივ ცვლილებას შორის, რადგან გლობალური ტემპერატურის ზრდა

განაპირობებს მსოფლიო ოკეანის დონის მატებას. მსოფლიო ოკეანის დონის რყევა ძალიან დიდი თავისებურებებით გამოირჩევა. იცვლება რყევის, როგორც პერიოდი, ასევე ამპლიტუდა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა კოლხეთის ცენტრალური და აღმოსავლეთი ნაწილი, განსაკუთრებით კი ფოთის რაიონი, სადაც ზღვამ უკვე წალეკა სანაპირო ზოლი რამოდენიმე ასეული მეტრის მანძილზე. ამ რაიონში ხმელეთი ყოველწლიურად იძირება 5,57 მმ-ით. ინსტრუმენტული გაზომვების დაწყებიდან (1850-1860 წლები) ბოლო საუკუნე ნახევრის განმავლობაში გლობალურად გასაშუალებული ჰაერის წლიური ტემპერატურის ცვლილების ანალიზიდან ჩანს, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული კლიმატის გლობალური დათბობის პროცესი სტაბილურია. ამ პროცესის შედეგად 1950 წლიდან 2005 წლამდე გლობალური ტემპერატურა გაიზარდა 0,7 გრადუს-ით ( უნდა აღინიშნოს რომ საერთო ტენდენციის მიუხედავად დათბობა სხვადასხვა კონტინენტზე გასულ საუკუნეში მიმდინარეობდა სხვადასხვაგვარად.

## **1.2. კლიმატის ცვლილების გამომწვევი ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორები. სათბურის ეფექტი.**

კლიმატის თანამედროვე ცვლილებას განაპირობებს, როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენური ფაქტორები. ბუნებრივი ფაქტორებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მზის აქტივობა, ატმოსფეროს ცირკულაცია, ვულკანური ამოფრქვევები.

კლიმატის თანამედროვე ცვლილება მოიცავს კლიმატურ ელემენტებზე სისტემური ინსტრუმენტული დაკვირვების პერიოდს, რაც დაახლოებით შეადგენს 100-200 წელიწადს. როგორც

ცნობილია ამ პერიოდში ძალიან გააქტიურდა ანთროპოგენური ფაქტორი, რაც უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანის სამეურნეო საქმიანობასთან. ორივე ეს ფაქტორები, როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური (ანთროპოგენური) თამაშობს განსაკუთრებულ როლს კლიმატის ცვლილების ფორმირებაში და ამავე დროს შეაქვს თავისი კორექტივები კლიმატის თანამედროვე ცვლილების საერთო ტენდენციის ჩამოყალიბებაში. ეს ფაქტორები (მზის ნათების გარდა) დედამიწის არსებობის სხვადასხვა პერიოდში იცვლებოდა სხვადასხვა ინტენსიურობით, რაც განაპირობებდა გამყინვარებისა და დათბობის პერიოდების მონაცვლეობას.

როგორც საზღვარგარეთელი, ისე სამამულო გამოკვლევებით იქნა დადგენილი, რომ მეოცე საუკუნეში თავი იჩინა კლიმატის გლობალური დათბობის მდგრადმა და მკვეთრმა ზრდამ, რასაც არ ჰქონია ადგილი ბოლო 10 ათასი წლის განმავლობაში. ეს დათბობა გამოწვეულია ადამიანის სამეურნეო საქმიანობით, რომელსაც კლიმატის ცვლილების ანთროპოგენურ ფაქტორს უწოდებენ. კლიმატის ცვლილების ანთროპოგენურ ფაქტორებად დღევანდელ პირობებში მიჩნეულია ადამიანის მიერ გამოშვებული ენერჯის ინტენსიური ზრდა, ატმოსფეროში ნახშირორჟანგის (CO<sub>2</sub>) მნიშვნელოვანი მატება, ატმოსფერული აეროზოლების კონცენტრაციის ცვლილება ადამიანის მიერვე ქვეფენილი ზედაპირის დაუნდობელი ექსპლუატაციით. ყველა სახის ენერჯია (ნავთობის, ნახშირის, ბუნებრივი აირის, ატომური და სხვა), რომელსაც ადამიანი იყენებს თავის სამეურნეო საქმიანობაში საბოლოო ჯამში გადაიქცევა სითბოდ, რომლის ძირითადი ნაწილიც განაპირობებს ტემპერატურის აწევას. ენერგეტიკის განვითარებასთან დაკავშირებული ნახშირორჟანგის გაზის (CO<sub>2</sub>) მნიშვნელოვანი ზრდა მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ ატმოსფეროში ნახშირორჟანგის გაზი

მცირე შემცველობითაა (0,03%), იგი წარმოადგენს ატმოსფეროს სითბური რეჟიმის მნიშვნელოვან რეგულატორს.

სათბურის გაზები ეფექტურად შთანთქმავს ინფრარწითელ რადიაციას, რომელსაც გამოსახივებს დედამიწის ზედაპირი, თვით ატმოსფერო იგივე აირების შემცველობის შედეგად და ღრუბლები. ატმოსფერული რადიაციის გასხივება ხდება ყველა მიმართულებებით, მათ შორის დედამიწის ზედაპირისკენაც. ამრიგად, სათბურის გაზები აკავებს სითბოს „დედამიწის ზედაპირი-ტროპოსფერო“ სისტემაში. ამ მოვლენას ეწოდება „ბუნებრივი სათბურის ეფექტი“. ატმოსფეროს რადიაცია მჭიდროდაა დაკავშირებული ტემპერატურასთან იმ დონეზე, რომელზეც ხდება მისი გასხივება. ტროპოსფეროში ტემპერატურა, ზოგადად, მცირდება სიმაღლის ზრდასთან ერთად. სათბურის გაზების კონცენტრაციის მომატება იწვევს რადიაციის ინფრარწითელ უბანში ატმოსფეროს გაუმჭვირობის ზრდას და აქედან გამომდინარე, რადიაციის ეფექტურ გასხივებას კოსმოსში, უფრო მაღალი ფენიდან შედარებით დაბალი ტემპერატურის პირობებში. ეს იწვევს რადიაციულ ზეწოლას, ანუ დისბალანსს, რომლის კომპენსირება შეიძლება მხოლოდ „დედამიწის ზედაპირი-ტროპოსფერო“ სისტემის ტემპერატურის გაზრდით. ეს უკანასკნელი წარმოადგენს „გამლიერებული სათბურის ეფექტს“.

„სათბურის ეფექტი“ ატმოსფეროში ყოველთვის არსებობდა და განაპირობებდა დედამიწის კლიმატის ფორმირებას. ატმოსფეროსა და დედამიწაზე მზიდან მოსული რადიაციული ნაკადები განიცდის რთულ ტრანსფორმაციას. მათი ერთი ნაწილი აირეკლება ატმოსფეროსა (ღრუბლებისა და აეროზოლების) და დედამიწის მიერ, ხოლო მეორე ნაწილი (მოსული რადიაციის დაახლოებით ნახევარი) შთანთქმდება ხმელეთისა და ოკეანის მიერ, ათბობს რა მათ თავისი ტემპერატურის შესაბამისად. ატმოსფერო და დედამიწა ასხივებს გრძელტალღოვან რადიაციას კოსმოსში, რაც

მათ გაცივებას იწვევს. ამ პროცესს ნაწილობრივ აკომპენსირებს ღრუბლებისა და აეროზოლების, აგრეთვე სათბურის გაზების მიერ გრძელტალღოვანი რადიაციის შთანთქმა, რომლის ნაწილი უბრუნდება დედამიწას უკუგამოსხივების სახით და ხელს უშლის მის ინტენსიურ გაცივებას. რაც მეტია სათბურის გაზებისა და აეროზოლების კონცენტრაცია ატმოსფეროში, მით ძლიერია მათ მიერ გამოწვეული სათბურის ეფექტი.

ყოველწლიურად საწარმოო ენერჯის 6%-ით ზრდა ერთი საუკუნის შემდეგ გამოიწვევს ჰაერის ტემპერატურის მკვეთრ აწევას. გლობალური მასშტაბით კლიმატის ასეთი ცვლილება კი, თავის მხრივ, გამოიწვევს დიდ სიძნელეებს სახალხო მეურნეობაში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ისედაც დამაბულ ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პირობებში მოსახლეობის რაოდენობის ზრდას არ შეესაბამება საკვები პროდუქტებით მომარაგება.

მიუხედავად იმისა, რომ ანთროპოგენური ზემოქმედება რამდენიმე ათეულ წელს ითვლის, ადამიანმა თავისი გაუთვალისწინებელი საქმიანობით ისეთი დიდი მასშტაბის ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს, რომ გაუტოლდეს (უფრო მეტიც - გადააჭარბოს კიდევაც) გეოლოგიურ, მით უმეტეს ისტორიული ეპოქების მანძილზე მომხდარ კლიმატურ კატაკლიზმებს. თუ ატმოსფეროს ანთროპოგენური გაჭუჭყიანება ჩვეული ტემპით გაგრძელდა, მაშინ ადვილი წარმოსადგენია ის სავალალო შედეგები, რომლებიც მოჰყვება ტემპერატურის ზრდას ანტარქტიდის, ჩრდილოეთის ზღვებისა და მთის მყინვარების დნობის შედეგად. ახლა როგორ შეგნებულადაც არ უნდა მართოს ადამიანმა ნახშირორჯანგის გაზრდის, ან მის მიერვე გამომუშავებული დამატებითი - ანთროპოგენური სითბოს მექანიზმი, ადამიანი უკვე გაცდა იმ დასაშვებ ზღვარს, რომელიც წონასწორობაშია ბუნებასთან. ამის მაგალითად საკმარისია დავასახელოთ ოზონის ფენის შეთხელება

და ზოგან ხვრელების გაჩენაც კი, ფლორისა და ფაუნის განადგურება, წყლებისა და ჰაერის გაბინძურება და სხვა, ყველა პრობლემა გლობალურია და საერთაშორისო ხასიათს ატარებს

კლიმატის ცვლილების ძირითად ფაქტორებს გარდა არის სხვაც, რომელთა რიცხვი, რიგი მკვლევარების აზრით, 2-3 ათეულს აღწევს. მათ შორის ზოგიერთი ფაქტორის გავლენა კლიმატზე და ამ გავლენის სიდიდე, ჯერ კიდევ, შეუცნობელია და შესაბამისად შეუსწავლელიც. უნდა აღინიშნოს, რომ როგორი ძალითაც უნდა მიმდინარეობდეს ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე, ჯერ-ჯერობით კლიმატის ცვლილებებს ძირითადად კვლავ ბუნებრივი ფაქტორები განაპირობებს. მაგრამ ემატება მათ ანთროპოგენური ფაქტორებიც და ამდენად კლიმატის ცვლილება ახლა უკვე დამოკიდებულია ბუნებრივ და ანთროპოგენურ ფაქტორთა ერთდროულ (ჯამურ) მოქმედებაზე. ამიტომაც ანთროპოგენურ მიზეზთან დაკავშირებული კლიმატის ცვლილების ზემოთ აღნიშნული პროგნოზის გამართლება დამოკიდებული იქნება ბუნებრივ მიზეზებზეც, რომელთა სიმრავლე და ერთდროული მოქმედება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ართულებს რეალური სურათის დანახვას და ამდენად გრძელვადიანი პროგნოზის შედგენასა და გამართლებას. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საბუნებისმეტყველო დარგებს შორის არსებული პრობლემებიდან კლიმატის ცვლილების შესწავლა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია.

ბუნებაში არსებული ყველა ფიზიკური, თუ ბიოლოგიური სისტემა გარკვეულ წონასწორობაში იმყოფება თავის გარემოს და კერძოდ, კლიმატურ პირობებთან. წონასწორობის დარღვევისას სისტემა ტრანსფორმირდება შეცვლილ გარემოსთან შესაგუებლად, ან წყვეტს არსებობას. ამჟამად მიმდინარე კლიმატის ცვლილების პირობებში, საქართველოში ტემპერატურისა და ნალექთა ჯამის



ცვლილება ჯერჯერობით არ გასცდენია ამ ელემენტების ბუნებრივი ცვალებადობის ფარგლებს.

მიმდინარე საუკუნის დასასრულისათვის ტემპერატურის 3-4°C -ით პროგნოზირებული მატებისა და ნალექთა 10% -ით კლების პირობებში საქართველოს ტყეებში მოწყვლადობის შესაბამისი ზრდაა მოსალოდნელი, რაც გამოიწვევს არსებული ჯიშების დაკნინებას და მათ ჩანაცვლებას ახალი ჯიშებით. ამ პროცესთან საბრძოლველად საჭირო იქნება ტყეების ადაპტაციის უნარის ხელოვნურად გაზრდა, რაც გულისხმობს ტყეების მენეჯმენტის სისტემის გაუმჯობესებას. მეორე მხრივ, ამჟამად დამკვიდრებული ტყეების უსისტემო ჭრა და მათი მოუვლელობა ზრდის ტყეების მოწყვლადობის ხარისხს.

კლიმატის ცვლილებისა და ანთროპოგენური ზემოქმედების მიმართ კიდევ ერთ მოწყვლად სისტემად შეიძლება დასახელდეს სამოვრები, რომლებსაც მხოლოდ დედოფლისწყაროს რაიონში მთელი ტერიტორიის ნახევარზე მეტი უკავია. ისევე, როგორც ტყეებს, ამ ბუნებრივ ეკოსისტემასაც ადამიანი თავისი მიზნებისთვის იყენებს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში (დედოფლისწყარო, ქვემო ქართლი) კლიმატის მოსალოდნელი ცვლილება გამოიწვევს ლანდშაფტების არიდიზაციას, სამოვრებზე ამჟამად არსებული სტეპის მცენარეულობის დეგრადაციას და მის ხარჯზე ნაკლებად პროდუქტიული ნახევრად უდაბნოების მცენარეულობის გაბატონებას. კლიმატის ცვლილების მიმართ ამ რეგიონებში სამოვრების მოწყვლადობის შესამცირებლად ქმედით ღონისძიებებს წარმოადგენს სამოვრების რწყვის ორგანიზება და ქარსაფარი ზოლების გაშენება, რომლებიც ხელს უშლის ნიადაგის გამოშრობას და ქარის მიერ მიწის ეროზიას ტყეების გაჩეხვის ანალოგიურად, სამოვრების მასიური გადახვნა ქარსაცავი

ზოლებისა და სარწყავი სისტემების მოწყობის გარეშე, აგრეთვე საქონლის ჭარბი მოვება გამოიწვევს ამ ტერიტორიების კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის მკვეთრ ზრდას.

ეკონომიკის ცალკეული დარგების მოწყვლადობა კლიმატის ცვლილების მიმართ უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმ ბუნებრივი სისტემის მოწყვლადობით, რომლის ბაზაზეც ფუნქციონირებს ესა, თუ ის დარგი (სოფლის მეურნეობის ქვედარგები, მეტყევეობა, ჰიდროენერგეტიკა, მეთევზეობა და სხვ.). ამავე დროს, ეკონომიკის ზოგიერთი დარგი არ არის უშუალოდ დაკავშირებული რომელიმე ბუნებრივ ეკოსისტემასთან, მაგრამ დამოკიდებულია ცალკეულ მეტეოროლოგიურ ელემენტებზე (ტრანსპორტი, ტურიზმი და საკურორტო მეურნეობა, მშენებლობა, ჯანდაცვა, ნარჩენების მართვა). არსებობს ისეთი დარგებიც, მაგ., სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურა და ტურიზმი, რომელთა მოწყვლადობა უშუალოდაა დაკავშირებული, როგორც ბუნებრივი სისტემის მოწყვლადობასთან, ასევე ცალკეულ მეტეოროლოგიურ ელემენტებსა და ეკონომიკის განვითარების საერთო დონესთან. ასე რომ, ანთროპოგენური სისტემის შემთხვევაში კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის მდგენელის რაოდენობრივი სახით გამოყოფა მეტად რთული ამოცანაა, რომლის გადაჭრა ყოველი ცალკეული შემთხვევისათვის დეტალურ შესწავლას მოითხოვს.

საქართველო წარმოადგენს პოლიკლიმატური ქვეყნის ერთ-ერთ კლასიკურ მაგალითს, სადაც გვხვდება თითქმის ყველა კლიმატური ზონები გარდა ორისა (იხ. ნახ1), დაწყებული სუბტროპიკული ზონიდან დამთავრებული მარად თოვლიანი ზონით.


ამიტომ კლიმატური მეტამორფოზები ისეთ პატარა ტერიტორიაზე, როგორც საქართველოა, ცხადია უფრო მტკივნეულად

მიმდინარეობს, ვიდრე დიდი ტერიტორიის მქონე ზოგიერთ რეგიონში. ამიტომ ჩვენ ქვეყანაში პრობლემა „ადამიანი და კლიმატი“ ძალზე მძაფრად დგას. როგორც მიღებული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, განსხვავებულ ფიზიკურ - გეოგრაფიულ პირობებში მყოფი საქართველოს სხვადასხვა რეგიონი კლიმატის მიმდინარე ცვლილებებზე რეაგირებენ სხვადასხვაგვარად.

გასულ საუკუნეში მოწყვლადობის ინდიკატორების ცვალებადობის ანალიზის შედეგად დადგენილ იქნა, რომ სანაპირო ზონაში ყველაზე მოწყვლადი უბანი რიონის დელტაა . ქვემო სვანეთის ინდიკატორებად შერჩეულ იქნა უხვი ნალექების რაოდენობის ზრდა, მდ. ცხენისწყალზე წყალმოვარდნების და მეწყერების მატება, გვალვიანი პერიოდის ხანგრძლივობის ზრდა, დემოგრაფიული სიტუაციის გაუარესება. დედოფლისწყაროს რაიონში ბუნებრივი ფაქტორებიდან გამოყოფილ იქნა გვალვების სიხშირისა და ხანგრძლივობის მატება, ძლიერი ქარების განმეორადობის ზრდა, ხოლო ანთროპოგენური ფაქტორებიდან - ქარსაცავი ზოლების გაჩეხვა, სარწყავი სისტემების მოშლა, მიწის ფონდის არასწორი გამოყენება, რასაც მოჰყვა ნიადაგის ნაყოფიერების შემცირება და მიტოვებული მიწების ფართობის ზრდა.

ყველაზე მაღალი მოწყვლადობის რეგიონებიდან შავი ზღვის სანაპირო ზონაში ძირითად კლიმატურ რისკებად მიიჩნევა გლობალური ტემპერატურის მატებით გამოწვეული ზღვის დონის აწევა და უხვი ნალექებით გამოწვეული წყალდიდობები აჭარის რეგიონსა და ქვემო სვანეთში. ზემო სვანეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიან ზონაში ტემპერატურის მატებასთან დაკავშირებულ რისკებად მიიჩნევა მყინვარების დეგრადაცია და მდინარეების ჩამონადენის ცვლილება, თოვლის საფარის შემცირება აგრეთვე უხვი ნალექებით გამოწვეული წყალმოვარდნები. დედოფლისწყაროს რაიონსა და ქვემო ქართლში

მთავარი რისკებიდან გამოიყოფა ტემპერატურის ზრდითა და ნალექთა შემცირებით განპირობებული გვალვების გახშირება, მიწის ეროზია და დეგრადაცია, ბიომრავალფეროვნების გაღარიბება.



### ნახ. 1.1. საქართველოს კლიმატური დარაიონების რუკა

ძირითადი კლიმატური რისკები საშუალო და სუსტი მოწყვლადობის რეგიონებში დაკავშირებულია ტემპერატურის ზრდასთან და უხვი ნალექებით გამოწვეულ მოვლენებთან. კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების მიმართ რეგიონების მოწყვლადობის განმაპირობებელი კლიმატური ფაქტორებია ტემპერატურის ზრდა და ნალექთა ცვლილება, როგორც უხვი ნალექების გაძლიერების, ასევე მათი წლიური ჯამების შემცირების მიმართულებით. რაც შეეხება ეკონომიკის მოწყვლად დარგებს, აქ გაცილებით მეტია მრავალფეროვნება და იგი მოიცავს საქართველოს ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორს, გარდა ინდუსტრიული პროცესებისა. თუმცა, მრეწველობის ზოგიერთი დარგი, მაგალითად, გადამამუშავებელ მრეწველობა, რომელიც

დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან, მაინც მოწყვლადია ისეთი კლიმატური რისკების მიმართ, როგორცაა გვალვა და წყალდიდობა.

ბოლო ათი წლის მანძილზე კავკასიის რეგიონისათვის ჩატარებულმა გამოკვლევებმა უჩვენა, რომ გლობალური დათბობის მიმართ ყველაზე სწრაფ რეაქციას ვაკეების სუბჰიმიდური და სუბარიდული ლანდშაფტები (შიდა და ქვემო ქართლი, კახეთი), აგრეთვე სუბჰიმიდურში გარდამავალი დაბალი და საშუალო მთის (აჭარა, სვანეთი, რაჭა ლეჩხუმი) და მთის ზომიერი სუბჰიმიდური (ჯავახეთი) ლანდშაფტები იჩენენ.

ჰუმიდური ლანდშაფტები, როგორც ვაკე (კოლხეთის დაბლობი), ისე მთის კოლხური (სამეგრელო, იმერეთი), აორთქლებაზე სითბოს დიდი დანაკარგების მიზეზით სუსტად რეაგირებს გლობალურ დათბობაზე, რაც შეეხება მთიან და მაღალმთიან ლანდშაფტებს, რომლებიც მდგრადი თოვლის საფარით ხასიათდება, თოვლის დნობაზე გაწეული სითბოს დიდი დანახარჯების გამო აქაც მათი რეაქცია დათბობის მიმართ სუსტი აღმოჩნდა .

### **1.3. გარემოს დაცვითი საერთაშორისო პოლიტიკა საქართველოში**

ყველაზე რთულ და პრაქტიკულად ძნელად განსახორციელებელ პირობას წარმოადგენს კონვენციის უმთავრესი მიზნის – სათბურის გაზების კონცენტრაციის სტაბილიზაციისაკენ მიმართული მითიგაციის პოლიტიკის შემუშავება და გატარება, აგრეთვე

კლიმატის ცვლილებასთან საადაპტაციო ღონისძიებათა დაგეგმვა და მათი განხორციელება. შედარებით ნაკლებ სიმძნელებთანაა დაკავშირებული სათბურის გაზების ეროვნული ინვენტარიზაციის ჩატარება და კლიმატის ცვლილების პრობლემის მიმართულებით საზოგადოებრივი ცხოვრების ამაღლება, თუმცა ეს ვალდებულებები უშუალოდ მოქმედებს მითიგაციის პოლიტიკის წარმატებულ განხორციელებაზე და ამიტომ მათი შესრულება ასევე დიდ როლს ასრულებს ქვეყანაში კლიმატის ცვლილების პოლიტიკის ეფექტურად წარმართვაში. კონვენციის ძალაში შესვლიდან გავლილი თითქმის 20 წლის მანძილზე მიღებულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ კლიმატის ცვლილების პოლიტიკის განხორციელება მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის ბუნებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან.

1979 წელს კლიმატისადმი მიძღვნილმა პირველმა მსოფლიო კონფერენციამ კლიმატის ცვლილება სერიოზულ პრობლემად აღიარა. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, გაიმართა სამთავრობათშორისო კონფერენციები კლიმატის ცვლილების შესახებ. კონფერენციებში მონაწილეობდნენ პოლიტიკის გამტარებლები, მეცნიერები, და გარემოს დამცველები. შეხვედრებზე განიხილებოდა სამეცნიერო და პოლიტიკური საკითხები და მოწოდება ერთობლივი ქმედებებისაკენ.

1992 წელს რიო დე ჟანეიროში კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციას ხელი მოაწერა 154 სახელმწიფომ (დამატებული ევროკავშირი). რიოში მიღებული დოკუმენტებია: რიოს დეკლარაცია, დღის წესრიგი 21, ბიომრავალფეროვნების კონვენცია და ტყის კანონი.

მხარეთა კონფერენციის მესამე სესიამ მიიღო კიოტოს ოქმი. მხარეები შეიკრიბნენ კიოტოში, იაპონია 1997 წლის 1-11 დეკემბერს ბერლინის მან-და-ტის პროცესის დასასრულებლად. მათ მიერ

შემუშავებული ოქმი დაკანონებული სავალდებულო ხელშეკრულებათა, რომლის ძალითაც ინდუსტრია-ლიზებულმა ქვეყნებმა 2008-2012 წლების პერიოდისათვის 5,2%-ით უნდა შეამცირონ ექვსი სათბურის გაზის (ნახშირორჟანგი, მეთანი და აზოტის ქვეჟანგი) კოლექტიური ემისიები. შეზღუდვა უნდა აითვა-ლოს საბაზისო 1990 წლის მიმართ სამი სამრეწველო გაზისათვის: პერფლურო ნახშირბადები, გოგირდის ჰექსაფლუორიდი, ჰიდროფლურო ნახშირბადები.

ოქმი ხელს შეუწყობს ყველა ქვეყნის მიერ არსებული ვალდებულებების შესრულებას. კონვენციის საშუალებით, როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნები შეთანხმდნენ გაატარონ ემისიების შეზღუდვის ღონისძიებები და ხელი შეუწყონ კლიმატის ცვლილების მოსალოდნელ ზემოქმედებასთან ადაპტაციას; გაამდიდრონ ტექნოლოგიების გადაცემა; ითანამშრომლონ სამეცნიერო და ტექნიკურ კვლევებში; და ხელი შეუწყონ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას, განათლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. ოქმი ასევე იმეორებს განვითარებადი ქვეყნებისათვის „ახალი და დამატებითი“ ფინანსური რესურსების გამოყოფის აუცილებლობას, რათა დაიფაროს განვითარებადი ქვეყნების მიერ ვალდებულებების შესასრულებლად გასაღები „შეთანხმებული სრული ხარჯები“. კიოტოს ოქმის საადაპტაციო ფონდი შეიქმნა 2001 წელს.

სათბურის გაზების ინვენტარიზაცია მაღალ დონეზე ტარდება იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს კვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული ინვენტარიზაციის მუდმივ მოქმედი ჯგუფი, რომელიც პერიოდულად ატარებს სათბური გაზების წყაროებისა და შთანთქმის ობიექტების ინვენტარიზაციას და ქვეყნის მამტაბით აწარმოებს სათბურის გაზების ემისიებსა და შთანთქმის მონიტორინგს. ინვენტარიზაციის სათანადო დონეზე ჩატარება

პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში სტატისტიკური ბაზის არსებობასთან.

ენერგოეფექტურობის დანერგვა და განახლებადი ენერჯის ათვისება ქვეყნისათვის არის მნიშვნელოვანი, რაც მოსახლეობას აძლევს საშუალებას იარსებოს ეკოლოგიურად სუფთა გარემოში და ნაკლებად არის დამოკიდებული ენერგომატარებლების იმპორტზე.

ტექნოლოგიური გადაიარაღების წინაშე მდგარ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბარიერს წარმოადგენს ახალი ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის სიძვირე, რაც მოქმედი ტექნოლოგიების შეცვლასთანაა დაკავშირებული. ამ მიზეზით განვითარებული ქვეყნები ზოგჯერ ამჯობინებენ ახალი ტექნოლოგიების დანერგვას განვითარებად (მასპინძელ) ქვეყნებში და სარგებლობენ ემისიების შემცირებიდან მიღებული შემოსავლით.

ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯების ათვისების პროგრამების მიმართ ნაკლებ ინტერესს იჩენს ქვეყანა, რომლის ეკონომიკა ძლიერაა დამოკიდებული ნახშირბადის ინტენსიურ მოხმარებაზე, ან რომელიც დიდი რაოდენობით აწარმოებს წიაღისეულ საწვავს.

პირველ შემთხვევაში, ქვეყნის ეკონომიკა ტრადიციულად აწყობილია წიაღისეული საწვავის ფართო მოხმარებაზე და მისი ტექნიკური გადაიარაღება დაკავშირებულია დიდ ხარჯებსა და ამ გადაიარაღების პროცესში წარმოების შენელებასთან, რაც უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მეორე შემთხვევაში ამ დარგიდან მიღებული შემოსავალი ასაზრდოებს ეკონომიკის სხვა დარგებს, მასში დასაქმებულია მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი, იგი ქმნის ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის პირობებს და



მისი პოლიტიკური გავლენის საწინდარია. განხილული კატეგორიის ქვეყნის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს რუსეთი, რომელშიც ორივე ზემოთ განხილული შემთხვევა მკაფიოდ არის რეალიზებული. ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვება ამჟამად ამ ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალია, ნაკლებადაა დაინტერესებული ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და განახლებადი ენერჯების ათვისებით, რის გამოც რუსეთი საგრძნობლად ჩამორჩება მსოფლიოს სხვა განვითარებად ქვეყნებს ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაში.

ემისიებით ვაჭრობა საშუალებას აძლევს ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტებს, რომელნიც ამცირებენ სათბურის გაზების ემისიებს დადგენილ დონეზე დაბლა, მიღებული ნამატი კომერციულ საწყისებზე გამოიყენონ, ან დაუთმონ სხვა სუბიექტებს სხვა წყაროებიდან ემისიის კომპენსაციის სახით. ემისიებით ვაჭრობა შეიძლება განხორციელდეს დარგობრივ, ეროვნულ და/ან საერთაშორისო დონეზე. ბოლო დროინდელი განმარტებით, ეროვნული ვაჭრობის სისტემებისათვის მიღებულია ტერმინი “ნებართვები”, ხოლო საერთაშორისო ვაჭრობის სისტემებისათვის „კვოტები“. საექსპერტო შეფასებების თანახმად, ისეთ ქვეყნებში, სადაც წიაღისეული საწვავის გამოყენებას დიდი ადგილი უჭირავს, ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპები აიძულება ამ ქვეყნებს ემიონ ალტერნატიული ენერჯების ათვისების გზები და მჭიდროდ ითანამშრომლონ ქვეყნებთან სუფთა განვითარების მექანიზმის ფარგლებში.

სუფთა განვითარების მექანიზმი ეს არის კიოტოს ოქმის მე-12 მუხლით განსაზღვრულ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის ფორმა, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისადმი დახმარების გაწევას სათბურის გაზების ემისიების შესამცირებლად. იგი ძირითად

როლს ასრულებს განმეორებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისადმი თანამედროვე ტექნოლოგიების გადაცემაში.

სუფთა განვითარების მექანიზმში მონაწილე მასპინძელი ქვეყანა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სამ პირობას:

- ქვეყანას რატიფიცირებული უნდა ჰქონდეს კიოტოს ოქმი;
- ქვეყანაში მთავრობის მიერ დანიშნული უნდა იყოს სგმ ეროვნული უფლებამოსილი ორგანო (ეუო);
- ყოველ კონკრეტულ სგმ პროექტს უნდა ჰქონდეს მასში მონაწილე მხარეების/ქვეყნების დასტური იმაზე რომ ისინი ნებაყოფლობით მონაწილეობენ სგმ პროექტში.

მასპინძელ ქვეყანაში სგმ პროცესის სახელმძღვანელოდ მთავრობის მიერ უნდა დაინიშნოს სგმ ეროვნული უფლებამოსილი ორგანო, რომლის ძირითადი ფუნქციაა ეროვნულ დონეზე სუფთა განვითარების მექანიზმის ამოქმედების ხელშეწყობა, სგმ პროექტების შეფასება და შერჩეული პროექტებისათვის მხარდაჭერის უზრუნველყოფა. აღნიშნული პროცესის ოპერატიული მართვის მიზნით მთავრობა ქმნის აგრეთვე სგმ ეროვნულ საბჭოს, რომელშიც შედიან დაინტერესებული სამინისტროებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სუფთა განვითარების მექანიზმი ძირითადი მონაწილე, როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნულ დონეზე არის კერძო სექტორი, რომელიც თანამედროვე პირობებში რეალური პროექტებისა და ინვესტიციების მფლობელია. მექანიზმში მონაწილე სახელმწიფო სექტორის როლი ძირითადად კერძო სექტორისათვის ხელშეწყობაში გამოიხატება, თუმცა მთავრობას თავადაც შეუძლია ჩადოს ინვესტიციები კონკრეტულ პროცესებში.

ეროვნული ექსპერტები და საკონსულტაციო ფირმები სემ პროცესის სრულფასოვანი მონაწილეება. იმ მასპინძელ ქვეყნებში, სადაც სემ დარგში კვალიფიციური ექსპერტების ნაკლებობაა პროექტის განსახორციელებლად აუცილებელი ხდება უცხოური ექსპერტებისა და საკონსულტაციო ფირმების მოზიდვა, რაც საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

განვითარებად ქვეყნებში სოფლის მეურნეობის შედარებით დაბალი პროდუქტიულობის გამო გატყიანების ღონისძიებათა ჩატარება ხშირად ეწინააღმდეგება შიმშილობასთან ბრძოლის ამოცანებს, რის გამოც ამ ქვეყნებში აღნიშნულ ღონისძიებებს ნაკლები ინტერესით ეკიდებიან.

ქარსაფარი ზოლები აუმჯობესებს სავარგულების მიკროკლიმატს, ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას და მოსახლეობის სოციალური პირობების სრულყოფას ბიო საწვავით (შეშით) უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამიტომ ეს მიმართულება განიხილება, როგორც ჰარმონიზაციის სფერო მეტყვეობაში, მითიგაციასა და სოფლის მეურნეობის განვითარებას შორის. კლიმატის ცვლილებასთან საადაპტაციო პროექტები უფრო ენერგიულად ხორციელდება იმ ქვეყნებში, რომლებიც დიდ ზარალს განიცდის კლიმატურ რისკებთან დაკავშირებული მოვლენებისაგან. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ეს მოვლენები იმდენად მასშტაბურია, რომ დღეისათვის მათგან დაცვის ღონისძიებები ძირითადად შემოიფარგლება გაფრთხილებისა და ევაკუაციის სამსახურის მოქმედებით. ზღვის დონის აწევასთან, ტროპიკულ ქარიშხლებთან, გვალვასა და წყალდიდობასთან ბრძოლის საადაპტაციო პროექტების განხორციელება უმეტეს შემთხვევაში დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რის გამოც განვითარებულ ქვეყნებშიც კი ფერხდება მათი შესრულება. სამაგიეროდ ამ მოვლენებისაგან მიღებული ზარალი ზოგჯერ მრავალგზის აღემატება პროექტის

ღირებულებას. არანაკლებ ძვირად ღირებულია გვალვის შედეგებთან საბრძოლველად გამიზნული საადაპტაციო პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს სარწყავი არხებისა და წყლის შემაგროვებელი რეზერვუარების აგებას. სამაგიეროდ, მათი დახმარებით, შესაძლებელი ხდება მასობრივი შიმშილობისა და ადამიანთა დიდი მსხვერპლის თავიდან აცილება.

კლიმატის ცვლილების კონვენციის მიერ დასმული გლობალური მასშტაბის ამოცანების დასაძლევად საქიროა შესაბამისი დონის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზება, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მიმართული უნდა იყოს კონვენციის უმთავრესი მიზნის – ატმოსფეროში სათბურის გაზების სტაბილიზაციის მიღწევისაკენ. პირველ ნაბიჯს კლიმატის ცვლილების დარგში საქართველოში წარმოადგენდა კლიმატის ცვლილების ეროვნული პროგრამის დამტკიცება, შესრულების პირველი შედეგების გათვალისწინებით 1997–1999წ–ში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) ხელშეწყობით ქვეყანამ მოამზადა პირველი ეროვნული შეტყობინება. ამ დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, 1999–2003 წლებში საქართველოში კლიმატის ცვლილების პრობლემასთან დაკავშირებით, შესრულდა კიდევ ბევრი პროექტი ენერგოეფექტურობის, ახალი ტექნოლოგიების შემოტანისა და მცირე ჰიდრო ენერგეტიკის დარგში, რომელთა განხორციელებაში მონაწილეობდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ენერგეტიკის სამინისტრო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სხვადასხვა კვლევითი ინსტიტუტი და არასამთავრობო ორგანიზაციები. მომდევნო წლებში (UNDP/ GEF) ხელშეწყობით შესრულდა აგრეთვე პროექტი საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების დარგში (2005), მასშტაბური პროექტი განახლებადი ენერგორესურსების ათვისებაზე ადგილობრივი ენერგომომარაგების მიზნით (2004–

2009), რომელშიც მონაწილეობდა გერმანიის მთავრობა. ევროკომისიის დახმარებით განხორციელდა პროექტი ქვეყანაში სუფთა განვითარების მექანიზმის განვითარების ხელშესაწყობად (2004–2006). ენერგოეფექტურობის დარგში პროექტები შესრულდა ენერგოეფექტურობის ცენტრში, აგრეთვე სხვა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ. 2003 წლამდე ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან შექმნილი კლიმატის ცვლილების ეროვნული სააგენტო, ხოლო შემდგომში ეს ფუნქციები დაევალა ამავე სამინისტროს ჰიდრომეტეოროლოგიისა და კლიმატის ცვლილების სამმართველოს.

2009 წლისათვის კლიმატის ცვლილების კონფერენციის მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოში ჩატარებული სამუშაოები შეჯამდა ქვეყნის მეორე ეროვნულ შეტყობინებაში ( , რომელშიც სათანადო ყურადღება დაეთმო ინვენტარიზაციის ეროვნული სტრატეგიის დამუშავებას, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქმედებების სტრატეგიას (ადგილობრივი პოტენციალის გაძლიერება) კონვენციის პრინციპების განსახორციელებლად, მოწყვლადობის შეფასება და ადაპტაცია, სათბურის გაზების ემისიების შემცირება, სუფთა და საადაპტაციო ტექნოლოგიების განვითარება და შემოტანა, ცნობიერების ამაღლება მასში მოყვანილია აგრეთვე სტრატეგიული სამოქმედო გეგმები შერჩეულ სამ საპილოტო რეგიონში საადაპტაციო ღონისძიებათა განსახორციელებლად, 2010–2025 წლებში სათბურის გაზების ემისიის შესამცირებლად განხილულია ქვეყანაში სუფთა განვითარების მექანიზმის დანერგვის პერსპექტივები. კლიმატის ცვლილების დარგში მომუშავე ქართველი სპეციალისტები აქტიურად თანამშრომლობენ მასმედიასთან: სისტემატურად მონაწილეობენ სპეციალურ სატელევიზიო პროგრამებში, ინტერვიუს აძლევენ ჟურნალისტებს,

გამოდიან საჯარო ლექციებით დაინტერესებული აუდიტორიების წინაშე, კითხულობენ სალექციო კურსებს უმაღლეს სასწავლებლებში, თუმცა ამ სამუშაოთა მოცულობა არ არის საკმარისი კლიმატის ცვლილების პრობლემისადმი საზოგადოების მზარდი ინტერესის დასაკმაყოფილებლად. საქართველოს წარმომადგენლები მონაწილეობენ კლიმატის ცვლილების სხვადასხვა ორგანოს მუშაობაში, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავებას.

ტურიზმი სხვადასხვანაირ ზემოქმედებას ახდენს გარე სამყაროზე. ტურისტული ინდუსტრია ექსპლუატაციას უწევს ქვეყნის ბუნებრივ, კულტურულ და ისტორიულ რესურსებს, აჭუჭყიანებს ჰაერს, წყალს და ნიადაგს და ახდენს ძლიერ ანთროპოგენურ ზემოქმედებას გარე სამყაროზე.

საერთაშორისო ტურიზმის დადებითი ზემოქმედება შეიცავს ისტორიული ძეგლების დაცვას და რესტავრაციას, ეროვნული პარკების და ნაკრძალების შექმნას, სანაპიროების დაცვას, ტყეების შენახვას და ა.შ. თუმცა, ბევრ განვითარებად ქვეყნებში არ მიიღება არავითარი ზომები ბუნების დასაცავად ფინანსური სახსრების სიმწირის გამო. მაგალითად, პარკების დაცვა შეიძლება გახდეს მიზეზი საქონლის სამოვრების შემცირებისა და გამოიწვიოს საკვები პროდუქტების შემცირება. ტურიზმის ნეგატიური ზემოქმედება სამწუხაროდ დადებითზე უფრო მეტია. კერძოდ, ეს არის ზემოქმედება წყლის ხარისხზე მდინარეებში, ზღვებსა და ტბებში; ჰაერის ხარისხზე- ავტოტრანსპორტიდან გამონაბოლქვით დაბინძურების გამო, ხმაური სხვადასხვა გასართობი დაწესებულებებიდან; ტურისტების მიერ ადგილობრივი ფაუნის განადგურება კოცონების გამო, ისტორიული ძეგლების დანგრევა და დაზიანება.

ტურიზმი სხვადასხვანაირ ზემოქმედებას ახდენს გარე სამყაროზე. ტურისტული ინდუსტრია ექსპლუატაციას უწევს ქვეყნის ბუნებრივ, კულტურულ და ისტორიულ რესურსებს, აჭუჭყიანებს ჰაერს, წყალს და ნიადაგს და ახდენს ძლიერ ანთროპოგენულ ზემოქმედებას გარე სამყაროზე.

ტურიზმის ზემოქმედება გარე სამყაროზე შეიძლება იყოს პირდაპირი და ირიბი, აგრეთვე, დადებითი და უარყოფითი. ტურიზმი არ შეიძლება განვითარდეს გარე სამყაროსთან უშუალო კავშირის გარეშე, თუმცა ტურიზმის განვითარების დაგეგმვის საშუალებით შეიძლება გარკვეულწილად შემცირდეს ტურიზმის ნეგატიური ზემოქმედება და გაძლიერდეს დადებითი .

გარე სამყაროს დაცვის პოლიტიკა მიმართულია ხანგრძლივი ტურისტული საქმიანობის უზრუნველსაყოფად. თუმცა, ზოგიერთი ქვეყნები ამ აზრს იგნორირებას უწევენ და არჩევენ კომერციულ და ფინანსურ მოგებას. გარე სამყაროზე ტურიზმის ზემოქმედების შესაფასებლად მიღებულია სხვადასხვა მოდელები. ზოგიერთ ტურისტულ ადგილებში სუსტად ზემოქმედებს ნორმატიული აქტები, ხოლო ბუნების დამცავი სამსახურები თითქმის არ არსებობს, თუმცა ნორმატიული ბაზის უქონლობამ, რომელიც უზრუნველყოფს ბუნების დაცვას, არ უნდა შეაჩეროს განვითარებადი ტურიზმის დაგეგმვა. ამ დარგის სპეციალისტებმა უნდა ჩაატაროს გამოკვლევები. უნდა აღინიშნოს, რომ გარე სამყაროს დაცვა უფრო ადვილია, ვიდრე მის მიერ მიყენებული ზარალის აღდგენა.

ტურიზმის განვითარების პოლიტიკა ეკოლოგიური ზემოქმედების გათვალისწინებით სულ უფრო აქტუალური ხდება და მტო გვთავაზობს ბევრ პროგრამას გარე სამყაროს დაცვის მიზნით. ეკოლოგიური მენეჯმენტის მეთოდის მიხედვით ტურფირმას შეუძლია ჩაატაროს, ან შეუკვეთოს ობიექტური ეკორევიზიები,

რომელთა მიზანს წარმოადგენს ტურისტული საქმიანობის მართვა ეკოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით.

ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემას განზრახული აქვს ტურისტულ დაწესებულებაში ეკორევიზიის ჩატარებისას შემდეგი საკითხების განხილვა: წყლის, სითბოს და ელექტროენერჯის ეკონომია, გაბინძურებისაგან გარე სამყაროს დაცვა.

გარე სამყაროზე ზემოქმედების შედეგები ფასდება შემდეგი მიმართულებებით:

1. ჰაერის დაბინძურება (ელექტრო და სათბობის ენერჯის გამოყენება, საჭმლის მომზადება, ტრანსპორტი);
2. წყალი, წყლით მომარაგება, წყლის მოხმარება;
3. ნიადაგი და ნიადაგის წყლები. ნიადაგის წყლების დაცვა;
4. ხმაური. ხმაურის დონე;
5. ვიზუალური ზემოქმედება. ტერიტორია, ლანდშაფტი, შენობა, გამონაბოლქვი, ტურისტული მომსახურება.

ეკორევიზიები არკვევენ, თუ როგორ წყვეტენ ტურისტული დაწესებულებები პრაქტიკულად ეკოლოგიურ საკითხებს და რამდენადაა დაინტერესებული სახელმწიფო მისი გადაწყვეტით. როგორია დონე ეკოლოგიის დარგში მომზადების მხრივ და ინფორმირებულნი არიან თუ არა ისინი ამ საკითხის შესახებ. გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ახალი ეკოლოგიური მეთოდების გამოყენების შედეგად სასტუმროებსა და რესტორნებში შეიძლება ელექტროენერჯის 10-25 %-ით, ხოლო წყლის მოხმარების 30%-ით შემცირება.



ეკოლოგიური მენეჯმენტის მეთოდის თანახმად, ტურისტული მომსახურებისას აუცილებელია საქმიანობის ყველა სფეროში – დაგეგმარებიდან დაწყებული, დამთავრებული პრაქტიკული საქმიანობით ჩართული იქნას ეკოლოგიის საკითხები. ტურისტული დაწესებულებების საქმიანობისას ეკოლოგიური მეთოდების დანერგვა წარმოადგენს შედარებით ახალ საქმეს, რომელსაც საფუძვლად უდევს ეკომენეჯმენტის სისტემა. ტურისტული დაწესებულებების ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემა შეიცავს:

- ეკოლოგიური მენეჯმენტის საქმიან კონცეფციას;
- დაწესებულების ეკოლოგიურ პოლიტიკას და გარემოს დაცვის საკითხებს;
- ეკოლოგიურად სუფთა ტურპროდუქტის შემადგენლობას; გარემოს დაცვის მიზნით საჭირო ინვენტარის შესყიდვის და თანამშრომლობის პოლიტიკას.

შვეციის სასტუმრო-სარესტორნო კავშირმა 1992 წელს დაამუშავა რეკომენდაციები ტურისტული ინდუსტრიისთვის სათაურით “ეკოლოგიური ტემპერატურა 92”. ტურისტული საქმიანობის შესახებ კანონი თითქმის არ ეხება ეკოლოგიურ საკითხებს. მხოლოდ გაკვრით არის ნათქვამი, რომ ტურისტულ-საექსკურსიო მომსახურებისას არ უნდა დაირღვეს გარე სამყაროს მთლიანობა. ამრიგად, აუცილებელია მიღებული იქნას შესაბამისი ზომები, რათა ტურისტული საქმიანობის ზემოქმედების გამო დაცული იქნას გარე სამყარო. ეხლანდელ პირობებში ბევრი განვითარებული და განვითარებადი ქვეყანა გამოყოფს დიდ ტერიტორიებს ეროვნული პარკებისა და ნაკრძალებისათვის. ძალიან დიდ დაინტერესებას ეკოტურიზმის მიმართ იჩენენ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის

ქვეყნები. მთელ რიგ ქვეყნებში (აფრიკა, აზია, ლათინური ამერიკა, კენია ტანზანია, ჩილე, პერუ) ეკოტურიზმი წარმოადგენს შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს.

ეკოტურისტული საზოგადოება, შტაბ-ბინით ვაშინგტონში, წარმოადგენს სამეცნიერო, ინფორმაციული და სტრატეგიული საქმიანობის განვითარების ცენტრს. ეს საზოგადოება აწარმოებს პოლიტიკას და ამუშავებს პროგრამებს, რომელიც მიმართულია რეგიონულში სტრუქტურისაკენ. არსებობს მთელი რიგი ორგანიზაციები, რომლებიც დაინტერესებული არიან ისეთი რეგიონების გამოყოფით, სადაც ეკოტურიზმი შეცვლიდა ტურიზმის ტრადიციულ ფორმებს. მათ შორისაა: მსოფლიო რესურსების დაცვის ინსტიტუტი, ცოცხალი ბუნების მოყვარულთა ფონდი. 1971 წლიდან იუნესკო ამუშავებს პროგრამას “ადამიანი და ბიოსფერო”. იუნესკოს კომიტეტს მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული ძეგლების მიხედვით შეუძლია მიანიჭოს სტატუსი – “მსოფლიო მნიშვნელობის საგანძური” ისეთ ტერიტორიებს, რომლებიც განსაკუთრებით საინტერესოა და ძვირფასი. ასეთი ტერიტორიები შემდგომში იღებენ მსოფლიო საზოგადოების, როგორც ფინანსურ, ისე სამეცნიერო მხარდაჭერას. პროგრამის – “ადამიანი და ბიოსფერო” მთავარი მიზანია დამტკიცებული იქნას, რომ ბუნების დაცვითი საქმიანობა არ გამორიცხავს ტურიზმის განვითარებას.

## თავი 2. ადამიანური კაპიტალი-ტურისტული საწარმოს

### განვითარების მნიშვნელოვანი რესურსი

XXI საუკუნის დასაწყისში ადამიანის მატერიალური, სულიერი და ინტელექტუალური შესაძლებლობების ერთობლიობის, ანუ ადამიანური პოტენციალის როლი რადიკალურად შეიცვალა და სწრაფად გაიზარდა. ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის შეფასებისას ახლა იგი არათუ მნიშვნელოვან, წამყვან ადგილსაც კი იკავებს.

განვითარებული ქვეყნის ეროვნული დოვლათის ძირითად შემადგენლებს - ადამიანურ პოტენციალს, ბუნებრივ სიმდიდრეებსა და საწარმოო კაპიტალს შორის ადამიანური პოტენციალი (ინტელექტუალური, კულტურული და სულიერი) რიგი შეფასებებით 75%-ს იკავებს, საქართველოში კი ეს მაჩვენებელი დაახლოებით 25%-ია. ასეთი დისპროპორციის მიზეზი კი, როგორც გამოკვლევები გვიჩვენებს მოსახლეობის უმრავლესობისათვის მსოფლიო და ქართული კულტურის, მეცნიერებისა და განათლების მიღწევათა ხელმიუწვდომლობაა, ანუ ადამიანური პოტენციალის განვითარების შესაძლებლობათა ჩამონათვალში უმრავლესობისათვის ამ სფეროთა მიღწევები დღესაც ხელმიუწვდომელი რჩება .

ეკონომიკურ სფეროში მიღწეულ ზრდას, როგორ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, საქართველოს ადამიანური კაპიტალის მაჩვენებელთა კლება მოჰყვა. ჩვენთვის არ წარმოადგენდა სიმნელეს, გაგვეკეთებინა შემდეგი დასკვნა: ეკონომიკური ზრდა არ იყო მიმართული ხალხის საკეთილდღეოდ, ხოლო ადამიანური პოტენციალის განვითარების პრაქტიკულად ერთადერთი შემადგენელი, რომლის მდგომარეობაც გაუმჯობესდა, არის განათლება. მაგრამ ჩვენთვის ესეც საკამათო საკითხად რჩება,

ვინაიდან ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია მოსახლეობის განათლების დონის სხვა მაჩვენებლებით გაზომვაც, რაც გაცილებით სამწუხარო შედეგებს მოგვცემდა.

გასაგებია, რომ განვითარებული ქვეყნების მშპ ზრდა მისი სხვადასხვა ფორმით, განპირობებულია ადამიანური კაპიტალის ზრდით. ამასთან, ვაქცევთ ყურადღებას იმასაც, რომ შემოქმედებითი პოტენციალის წილი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ექსტენსიური ფაქტორების როლის მუდმივი და სწრაფი შემცირების ფონზე. ამდენად, განვითარების ძირითად და ფუნდამენტურ რეზერვად ადამიანი, მისი შესაძლებლობებისა და ნიჭის განვითარება და უფრო სრული რეალიზაცია რჩება.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ XX საუკუნის ბოლოს მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში მიღებულ ნორმად იქცა იმის აღიარება, რომ გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოსა და საზოგადოების მთავარ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ამოცანად და საქმიანობის ძირითად მიზნად ადამიანი, მისი მატერიალური, ინტელექტუალური და სულიერი შესაძლებლობების განვითარება იქცა. ეს ნორმა ყველა ევროპული პარტიის პოლიტიკურ პროგრამაშია შესული და პრატიკულად ყველა დასავლური პოლიტიკოსისა და საზოგადოებრივი მოღვაწის პოლიტიკურ პრინციპად იქცა. ადამიანის პიროვნების პრიორიტეტი, ჩვენი აზრით, ჰიპერტროფირებულადაც კია წარმოდგენილი, დასავლეთის ქვეყნებში ხდება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აბსოლუტიზაცია. დღეს სახელმწიფო, საზოგადოება ანდა სულიერი სუბსტანცია კი არა, სწორედ ადამიანი გახდა პოლიტიკური ძალებისათვის აპელირების მთავარი კატეგორია. მეტიც! ადამიანი, რომელსაც გააჩნია პროფესიული მომზადების მაღალი დონე, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში დამოუკიდებელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფასეულობად არის ქცეული. ადამიანური

პოტენციალი სოციალური და ეკონომიკური განვითარების მთავარი მაჩვენებელია, როგორც ცალკეულ ქვეყნებისა და კომპანიების, ისე მთელი მოსახლეობისათვის. შემოქმედებითი პოტენციალის როლი კი ადამიანური კაპიტალის მთელ მოცულობაში განუხრელად მატულობს და ანაცვლებს ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალის შესაბამის ხვედრით წილებს. ჩვენი აზრით, ეკონომიკური ზრდის ტრადიციული ფაქტორები: კაპიტალის დაგროვება, ბუნებრივი ნამატი, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, შრომის მწარმოებლურობის ზრდა - ახლებურად, ანუ ადამიანურ (პოტენციალთან) კაპიტალთან ურთიერთკავშირში უნდა იქნეს განხილული.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ /ადამიანური კაპიტალის კონცეფცია მისი თანამედროვე სახით, მსოფლიო ეკონომიკური და სოციალურ-ფილოსოფიური აზრის განვითარების ბუნებრივი და კანონზომიერი შედეგია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ტურისტული ინდუსტრიის მდგრადი განვითარების საფუძველს წარმოადგენს უნიკალური ბუნებრივი რესურსები, ხელსაყრელი სატრნსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა და სხვა ფაქტორთა რიგი, რომლებიც განაპირობებენ რეგიონის ატრაქტულობას. მაგრამ ვიხილავთ რა სოციალურ-ეკონომიკური სერვისისა და შავი ზღვისპირეთის ტურიზმის განვითარებას, გამორიცხულია, ვერ შევაჩინოთ, ად რომ ამ დარგის ინტენსიფიკაციის პრობლემები დაკავშირებულია უშუალოდ ადამიანური კაპიტალის არსებობასთან , მის ხარისხთან და კვლავწარმოებასთან. ეს პრობლემები სულ უფრო ხშირად წარმოიშვება საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში სხვა ქვეყნებთან შედარებით, რომლებშიც მომსახურების სფერო ყველაზე მომგებიან სექტორად არის ქცეული.

ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს ტურისტული ინდუსტრიის საწარმოთა განვითარების მთავარ პირობას. ყოველი ორგანიზაციის წარმატება განისაზღვრება ცოდნითა და იმ ინფორმაციით, რომელსაც იგი მოიპოვებს, რადგანაც ცოდნის მატარებლები თანამშრომლები არიან. ისინი წარმოადგენენ დიდ ფასეულობას საწარმოსათვის. ტურსაწარმოს პერსონალი ასრულებს მრავალმხრივ ფუნქციას, მაგრამ მთავარია სამეწარმეო საქმიანობა და საწარმოს კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ტურისტული საწარმოს თანამშრომლებმა უნდა იცოდნენ საკანონმდებლო აქტები და ტურიზმის სფეროში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტები, საერთაშორისო ნორმები და წესები ქვეყნიდან გასამგზავრებელი დოკუმენტების გასაფორმებლად. აქედან გამომდინარე ამ სფეროში დასაქმებული თანამშრომელთა უწყვეტი განათლება ადამიანური კაპიტალის კვალიფიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

სტუმარმასპინძლობის ქართული ინდუსტრია დღეას ჩამოყალიბების პროცესშია, ხოლო მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება კი დაკავშირებულია ადამიანური ფაქტორის როლის მნიშვნელოვან ზრდასთან. საქართველოს მოსახლეობის ბოლო ათწლეულების გამწვავლობაში მომხდარი მასიური მიგრაცია და დემოგრაფიული ვარდნა იწვევს შრომითი რესურსების შემცირებასდა, როგორც შედეგი, აისახება ადამიანური კაპიტალის ხარისხზე.

ტურიზმი აღიარებულია გასული საუკუნის ერთ-ერთი უმთავრეს ეკონომიკურ და სოციალურ ფენომენად. დღეს მსოფლიო ექსპორტში ტურიზმის წილი 88%-ს შეადგენს, მოსახურების საერთაშორისო ბაზარზე იგი 31 %-იან ნიშას იკავებს, ხოლო ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულია რაოდენობა კი 105 მილიონს აღემატება.

საერთაშორისო ტურისტული ნაკადი 1950 წლიდან დღემდე 25 მილიონიდან 840 მილიარდამდე გაიზარდა, როგორც მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გამოკვლევები გვიჩვენებს, წლიურად იგი იზრდება 4%-ით და 2020 წლისათვის მიაღწევს 1,6 მილიარდს. მსოფლიო ექსპორტის 7,5% ეკუთვნის ტურიზმის სექტორს, ავტომობილისა და გაზის მრეწველობის შემდეგ, ტურიზმი საერთაშორისო ვაჭრობისა და მომსახურების ერთ-ერთი მზარდი სექტორია, რომლის განვითარებაც ხასიათდება მისი გეოგრაფიის გაფართოებით, დივერსიფიკაციითა და ინტერ გრაციით. მისი მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელია მარკეტინგის სექტორის გაფართოება და ტურიზმის ახალი ფორმების ჩამოყალიბება.

საქართველო ძველ საბჭოეთში ითვლებოდა ტურიზმის ლიდერ ქვეყანად. საქართველოზე გადიოდა 120-ზე მეტი საერთაშორისო და შიდა ტურისტული მარშრუტი. 1990-იან წლებში მომხდარმა პოლიტიკურ მოვლენებმა განაპირობა მისი სტრუქტურის სრული, პარალელზე, რამაც გამოიწვია ტურისტული ნაკადების მიმოსვლის შეწყვეტა. ამ პერიოდისათვის ტურიზმმა ორმაგი დარტყმა განიცადა. ჯერ-ერთი მოიშალა ინფრასტრუქტურა . მეორეც, დაიკარგა ისეთი კადრები, რომელთაც ამ დარგში მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდათ .

1993 წლიდან საქართველო გაერთიანდა მსოფლიო ტურისტულ ორგანიზაციაში, ტურიზმმა კვლავ აღმა სვლა დაიწყო . თანდათანობით გაიზარდა, როგორც ტურისტთა მიმწოდებელი ქვეყნების გეოგრაფია, ასევე ტურისტთა ნაკადებიც. საქართველოს სტუმრობენ მსოფლიოს ექვსივე ტურისტული რეგიონიდან, ყველაზე დიდი ხვედრითი წონა საერთო რიცხვოვნებაში უკავია ევროპიდან ჩამოსულებს.

განათლების განვითარების პრობლემა პრიორიტეტულია დღესაც, ვინაიდან სწორედ განათლება აუმჯობესებს ადამიანური კაპიტალის ხარისხს (ადმიანის ცოდნა, პროფესიონალიზმი, მორალი, კულტურა), რომელიც სახელმწიფოს ინტელექტუალურ და სულიერ რესურსს წარმოადგენს. სახელმწიფოს წარმატება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმესი უსუალოდაა დაკავსირებული მის მიერ უზრუნველყოფილი განათლების სისტემაზე, მისი მოსახლეობის განათლების ხარისხზე, ტრადიციული ფაქტორები (მიწა, ნედლეული, საწარმოო კაპიტალი), ცხადია კვლავ უდიდეს როლს თამაშობს სახელმწიფოს განვითარებაში, მაგრამ მათ გააჩნია ჩარჩოები, განვითარების ზღვარი. უსაზღვროა მხოლოდ ადამიანური კაპიტალი, მისი ცოდნა და სულიერება.

